№ 109. 28 მაისი, ხუთშაბათი. 1866 — 1881 28 მაისი, ხუთშაბათი. № 109.

რედაქცია

გაღლაკონის ბრანსპექტზე. ია. შუხრანოვის ხახლებში კლუბის ქვემო.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაში“ „ეგერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაში“-„ეგერიის“ აგენტთან ი. ჭეოლიანოთან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროებაᲘ“-„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲤᲐᲡᲘ

		წელიწადში.	6 თვეს.	3თვეს
„დროებაᲘ“ და „ეგერიაᲘ“ ერთად		14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე	„დროებაᲘ“	9 მან.	5 მ.	3 მ.
	„ეგერიაᲘ“	7 მან.	4 მ.	2 მ.

დროება

ᲒᲐᲛᲝᲬᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲔ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ

დიდი ახლებით ახლზე 1 ... ...

დასაკმაყოფილებელი ლონის-ძიებანი, ერთმანეთი გაემხნევებინათ მოქმედებაში და ამ სახით მიეცათ თავის არსებობისათვის სიცოცხლე და საზოგადობრივი ფასი და ინტერესი.

ჩვენ გვგონია, რომ ამაზედ უარესი, ამაზედ დამამცირებელი და ყოველი მნიშვნელობის გამქარწყლებელი მდგომარეობა ძნელად თუ მოიპოებოდეს სადმე.

დროა სამღვდელოება ბეჯითად ჩაეკვირდეს თავის ახლანდელს მდგომარეობას, რომელიც ისე დაშორებულია მის მაღალ მოწოდებიდგან, როგორც დედა-მიწა ცისაგან. დროა გაიგოს მან მიზეზნი თავის გონებითის და ზნეობითის დაცემულობისა და მიიღოს შესაბამი ზომანი მათ ამოსაფხვრელად.

სად უნდა მოვძებნოთ ეს მიზეზები? რასაკვირველია, არა თვით სამღვდელოებაში, არამედ მის ყოველად შეუფერებელ, ყოველად შეუსაბამო სწავლა-აღზრდაში. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ სასწავლებელი განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს იმ საგანს, რომელიც უფრო საჭიროა მის მოწაფეთა მომავალი თანამდებობის, მოვალეობის ასრულებისათვის. ჩვენი სასულიერო სასწავლებელნი ორივე რაზრიადისა უკულმა იქცევიან. ლათინური და ბერძნული ენიდგან მოკიდებული გიმნასტიკამდის ყველასფერს ბეჯითად ასწავლიან, და ის კი დავიწყებულ კუნჭულში მიგდებული აქვთ, რაც მომავალი მოძღვრისათვის უსაჭიროესს რასმე შეადგენს.

რა გახლავთ ყველაზედ უსაჭიროესი მოძღვრისათვის? საფუძვლიანი ცოდნა ხალხისა, რომელშიაც მან უნდა იმოქმედოს, მისი წარსული ბედისა, მისი აწ მდგომი ყოფა-ცხოვრებისა, მისი ენისა, მისი ლიტერატურისა. მხოლოდ ეს ცოდნა სდებს მჭიდრო კავშირს ხალხსა და სულიერს მწყემსს შორის. მხოლოდ ამ ცოდნით აღჭურვილს მოძღვარს შეუძლიან ნაყოფიერად აღასრულოს თავისი მაღალი მოვალეობა, იქონიოს კეთილი ზედმოქმედება ხალხზედ, გახდეს გავლენიანი მქადაგებელი სახარების სწავლისა, სასარგებლო მოღვაწე სასულიერო ლიტერატურის ასპარეზზედ.

ვინ არ იცის, რომ ჩვენი სასულიერო სასწავლებელნი მოკლებულნი არიან ამ უსაჭიროესს საგნის სწავლებასა? ვინ არ იცის, რომ მათში ქართულს ენას, ქართულს გრამმატიკას, ქართულს ლიტერატურას, ქართულს ისტორიას ეპყრობიან ისე, როგორც ექცევა გულ-ღვარძლიანი დედინაცვალი თავის ობოლს გერებსა? ვინ არ იცის, რომ ამ საგნებისათვის დროც გაუწყვეთ და ფულიც გაუქრათ! მოწაფეებს, რომელნიც ემზადებიან ქართველი ერის მოძღვრობას, სამშობლოს სიყვარულის ჩანერგის მაგიერ, უსახვენ გულში და უზრდიან ბრიყულს სიძულილს ყველა ქართული ელემენტისას.

როგორ გნებავთ, რომ ამ გვარმა უკულმართმა სწავლამ წალმართი ნაყოფი გამოიღოს? როგორ შეუძლიან სემინარიელს მქადაგებელი გახდეს, როდესაც ის უბრალო, საყველ-პურო ჰაზრსაც ყოყმობითა სთქვამს? როგორ მიიღოს მონაწილეობა სასულიერო ლიტერატურის აღდგენაში და განძლიერებაში, როდესაც ქართულს წიგნებს ჩათვლითაც ძლივსა კითხულობს? რათ გასწევს ის ჯაფასა და რათ დაღვრის ოფლსა ხალხში ვანთლების გასავრცელებლად, როდესაც ყველა და ყველაფერი ცდილობდა ამ ხალხზედ გული აეცრუებინა მისთვის, ბრიყული ვრძნობა აღეზარდა მასში?

ბარდა შეუსაბამო სწავლისა და აღზრდისა სასულიერო ახალ-გაზდობისა ჩვენ სამღვდელოებას ძირსა სწევს და ამცირებს ის გარემოება, რომ მის შორის თითქმის სრულიად არ მოიპოება უმაღლეს სასწავლებლებში ნასწავლნი, აკადემიაში კურს შესრულებულნი. რუსეთში ბევრგან სოფლებშიაც კი აკადემიელები არიან გამწესებულნი; ჩვენში კი სობოროშიაც არ მოიპოება არც ერთი მათგანი. საკვირველიც არ არის. როდესაც ყოველი რუსეთის სემინარია, ერთი გუბერნიის დამაკმაყოფილებელი, ყოველ წლივ ხუთ-ექვსს მოწაფეს ამგზავრებს აკადემიაში, ჩვენი სემინარია, რომელიც ერთად-ერთი მთელს საეგზარხოში, თითო-თითო მოწაფესა ჰგზავნის რუსეთში და იმასაც ყოველ წლივ არა.

ცხადია ნათქვამიდგან, რა ლონისძიება უნდა მიიღოს საეპარხიო კრებამ სამღვდელოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: მან უნდა ბეჯითად და მტკიცედ ითხოვოს მთავრობის წინაშე ორი საგანი: **პირველად, ქართული ენის კათედრის დადგენა ყველა სასულიერო სასწავლებლებში სავაჯოში, საქალებოში და სემინარიაში ვრცელი პროგრამით, რომელიც უნდა, სხვათა შორის, შეიცავდეს: ქართულს გრამმატიკას, საერო და სასულიერო ლიტერატურას, საეროს და საეკლესიო ისტორიას, და რომლისთვის უნდა გამწესებული იყოს ყოველი კლასისათვის არა ნაკლები სამი გაკვეთილისა კვირაში; მასწავლებელნი ქართული ენისა და ლიტერატურისა უნდა იქმნენ შეყვანილნი შტატში და გათანასწორებულნი სხვა საგნების მასწავლებლებთან, როგორც ჯამაგირით, ისე ყოველ-გვარი უფლებით.**

მეორედ უნდა მთავრობამ წესად დასდოს, რომ თფილისის სემინარიიდგან ყოველ წლივ გაგზავნილ იქმნას სასულიერო აკადემიაში საეკლესიო ხარჯით არა ერთი მოწაფე, არამედ ოთხი. ეს დაწესებულება, პირ-და-პირი სარგებლობის გარდა, სხვა სიკეთესაც მოიტანს: სემინარიის მოწაფეებს მხნეობას, მეცადინეობას განუძლიერებს, რადგანაც ბევრს მიეცემა იმედი აკადემიაში წასვლისა კურსის შესრულების შემდეგ.

მარტო ამ ორ ღონისძიებას იმიტომ კი არ ეურჩევთ პატიეცემულს კრებას, რომ მათგან ძირეულს ცვლილებას მოველოდეთ. ამ გვარი ცვლილებისათვის სხვა, უფრო დიდი ღონისძიებანი არიან საჭირონი, რომელთაც კრება ვერ იკისრებს. ვურჩევთ ჯერ იმიტომ, რომ ეს ღონისძიებანი ბევრათ გაუმჯობესებენ ახლანდელს მდგომარეობას სამღვდელოებისას, უკეთესად მოუმზადებენ ქართველს ერს მოძღვართა და მერე იმ აზრით, რომ მთავრობისათვის მათი ასრულება ძალიან ადვილია და სასურველიც უნდა იყოს.

ᲛᲘᲡᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ.

ᲑᲣᲨᲘᲜ, 26 მაისს, დილის 11 საათზე ყველა წარჩინებული პირები სამოქალაქო და სამხედრო უწყებისა, აგრეთვე თავად-აზნაურობა და ქალაქის წარმომადგენელნი სასახლეში იყვნენ მიწვეულნი დიდ მთავართან გამოსათხოვრად. ეს ხალხი სასახლის სამს დიდს ზალაში იყო მოგროვილი. პირველს ზალაში სამხედრო და სამოქალაქო უწყების (ადმინისტრაციის, სამმართველოს და სამასწავლებლო უწყების) და აგრეთვე სამღვდელოების წარმომადგენელნი, მეორეში თფ. გუბერნიის თავად-აზნაურობა და მესამეში ქალაქის წარმომადგენელნი.

მეთორმეტე საათის ნახევარზე დიდი მთავარი გამობრძანდა პირველს ზალაში და გამოსვლისათანავე გარდასცა აქ შეკრებილ უმაღლესს ჩინოვნიკობას ხელმწიფე-იმპერატორის სალამი. შემდეგ დაუმადლა ერთ-გული თანამშრომელობისა და პატიოსან სამსახურისათვის და მისცა რამდენიმე დარიგება იმის შესახებ—თუ როგორ უნდა იზრუნონ იმათ და საზოგადოდ ყველამ იმ ბოროტ-განზრახ ხალხის ამოსაფხვრელად, რომელიც ასე გავრცელდა ამ უკანასკნელ დროს რუსეთშიო. ესენი არა თუ მარტო ჩვენი საყვარელი ხელმწიფის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის მტრები არიან და იმათ დამამხობელ სწავლას და მოქმედებას, რითაც კი შეუძლია, ყველა უნდა ეწინააღმდეგებოდესო. როდესაც დიდმა მთავარმა უკანასკნელი გამოთხოვების სიტყვა წარმოსთქვა, იმასაც და ბევრს სხვა იქ დამსწრეთაც თვალებზე ცრემლი მოერიათ.

კავკასიის არმიის უხუცესმა მხედარმა თ. ბრ. დიმ. ᲢᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲛᲐ მიმართა დიდ მთავარს შემდეგის სიტყვებით:

„თქვენო იმპერატორებით უმაღლესობავ!

„მძიმე, სამწუხარო წამში მოაწია ჩვენთვის. შესრულდა ის, რაც უნდა შესრულებულიყო, მაგრამ რის შესრულებასაც არავინ ჩვენგანი არ ᲒᲗᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ და რაც ახლაც მოუდოდნელად მიგვაჩნია.

„თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობა სტოვებს კავკასიის არმიას, იმ არმიას, რომელსაც ძღვა-მოსილებით მიუძღოდით თქვენ და რომლითაც დაიმორჩილეთ დასავლეთი კავკასია, აიღეთ არტაანი, ყარსი, დეგე-ბოინი, ბაიაზეთი, არზრუმი—ეს შეუმუსვრელი ბურჯნი ოსმალეთისა, რომლის შემწეობითაც იმას იმედი ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, რომ თქვენს გამოგკვლებითს მსვლელობას შეუდგებოდა. ᲛᲔᲓᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲮᲝᲓ; ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲔᲛᲮᲝ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ დაემორჩილა ჩვენს ძღვა-მოსილს არმიას, და ეს ბრწყინვალე საქმეები ჩვენი არმიისა უკვე დამამშვენებელ საუნჯად შეიქმნენ ჩვენის სამხედრო ისტორიისა. განვლენ საუკუნენი და ეს ადგილები იქნებიან სახსოვრად კავკასიის არმიისა და იმის უკვეგუსტოეს სარდლის ჩინებულ სახსოვრად!

„თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობა სტოვებს იმ ქვეყანას, რომლის კეთილდღეობასაც თქვენ შესწირეთ საუკეთესო ზნეობითი ძალა სიუმაწვილისა; იმ ქვეყანას, რომლის ერთგულება ტახტისა ასე ბრწყინავდა ნახევარ საუკუნის განმავლობაში კავკასიის ომის დროს და რომელიც მუდამ წელს გზავნიდა ომში თავის საუკეთესო შვილთა და ნივთიერათაც არაფეურს ზოგავდა.

„თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობა ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛᲐᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ თქვენ ნამოქმედარს სტოვებთ. მაგრამ რა! განა წარმოსადგენია თქვენის წასვლით გასწყდეს ის თვრამეტი წლის კავშირი, რომელიც თქვენს უმაღლესობას აერთებს კავკასიის არმიასთან და მხარესთან? არა! ეს შეუძლებელია. ჩვენ გვჯერა თქვენი დრმა გრძნობანი და დარწმუნებული ვართ, რომ იქაც, 3,000 ვერსის სიშორეზედაც, თქვენი გულიცა და აზრიც ჩვენის არმიისა და ქვეყნისაკენ იქნება მიმართული, რომელნიც თავის ბედსა და სიცოცხლეს თქვენ გასარეულსთ და გთხოვსთ მიიღოთ წინდათ იმ ერთგულებისა, რომელსაც ვერ შესცვლის ვერავითარი მოულოდნელი მოვლენა, ვერც გარეშე მტერი და ვერც შიგნითი ბოროტ განმზრახველთა ჯოჯოხეთებრივი მოქმედება.

„თქვენო იმპერატორებით უმაღლესობავ! საცა უნდა ბრძანდებოდეთ, ღვთის კურთხევა იყოს თქვენი და თქვენი უკვეგუსტოესის ოჯახის მფარველი!“

ᲐᲛ სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება ეოახდინა დიდ მთავარზედ და თვით მაყურებლებზედაც.

შემდეგ დიდი მთავარი მიბრუნდა სამოქალაქო უწყების წარმომადგენელებს და გამოაცხადა კმაყოფილება იმის შესახებ, რომ ის განხეთქილება, რომელიც სამოსამართლო უწყებასა და ადმინისტრაციას შუა არსებობდა წინათ, ახლა მოისპოვო.

სამასწავლებლო უწყებას დაუმადლა თავის მოვალეობის ერთგულად სამსახურისათვის და უთხრა, რომ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ახალ-გაზდობის ზნეობით აღზდას. სამასწავლებლო მაზრის მზრუნველმა რამდენიმე სიტყვა მოახსენა დიდ მთავარს, რომლის შემდეგაც მტირალის თვალით გამოეთხოვა ყველას და ბრძანა, რომ თავად-აზნაურნი შემოვიდნენ ამ ზალაშიო.

(დასასრული შემდეგ №-ში)

ახალი ამბები.

—

გუშინ წაბრძანდა ტფილისიდამ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი კავკასიის ნამესტნიკი, მიხაილ ნიკოლოზის-ძე.

დილით, მეათის ნახევარზე, დიდი მთავარი გამობრძანდა სასახლიდამ და წაბრზანდა სიონის სობოროში, სადაც მის უმაღლესობას უცდიდა უმაღლესი სასულიერო პირნი. მოკლე ჩამოლოცვის შემდეგ, დიდი მთავარი წაბრძანდა რკინის გზის სტანციაში. ის ქუჩები, რომლითაც უნდა გაევლო მას, ხალხით იყო სავსე. ამ გზის გაყოლებაზე გამართული სასწავლებლების გვერდით (კლასიკური გიმნაზია, რეალური სასწავლებელი, ქალების პროგიმნაზია, ალექსანდროვის ინსტიტუტი, ნემეცების სკოლა) გამწკრივებულნი იყვნენ შეგირდები. ელისაბედის ქუჩის ბოლოდამ სტანციამდის დამწკრივებულნი იყვნენ იუნკერის სკოლის და სამხედრო გიმნაზიის მოწაფეები და სალდათები.

თითონ სტანციაზე აუარებელი ხალხი მოგროვილიყო. სტანციის მაიდანზე იდგნენ უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ჩინები, თავად-აზნაურობა და მოქალაქენი-ამქრები ბაირაღებით; აქვე იყვნენ რუსის მუჟიკები, ყაზანის თათრები, მალაკნები, ურიები. ურიებს გამოეტანათ ბალდახინი, რომლის ქვეშ იდგა შემოსილი რაბინი (ხახამი) კვერთხით. ვაგზალის პლატფორმა ეჭირა ტფილისის არისტოკრატებს.

თერთმეტ საათზე ვაგზალს მიუახლოვდა მისი უმაღლესობის ეკიპაჟი. ხალხში შეიქნა „ურა!“ გადახდილი ლანდო გაჩერდა ვაგზალის წინ და მისი უმაღლესობა, რომელსაც გვერდით უჯდა თავ. გრ. დიმ. ორბელიანი, გადმობრძანდა ეკიპაჟიდამ. დიდმა მთავარმა მადლობა უთხრა ხალხს; რამდენიმე სიტყვა მოისმინა ურიების ხახამისგან და შემდეგ შებრძანდა ვაგზალის პლატფორმაზე, სადაც, კნეინა ალ. მაკ. მელიქოვმა, ტფილისის ქალების სახელობით, უთხრა მცირე სიტყვა, აქ დიდი მთავარი გამოეთხოვა ქალებს. რომელთაც მიართვეს თაიგულები, და შებრძანდა სამეფო ვაგონში.

მეთორმეტე საათზე პოეზდი დაიძრა და, სიგნალით, დაეშვა სასახლის სახურავზე ამართული ბაირაღი.

* * *

გავლილ ორშაბათის სხდომა ქალაქის რჩევისა არაფრით არ იყო შესანიშნავი და საყურადღებო. მართალია, საყურადღებო საგანზედ უნდა ყოფილიყო ამ საღამოს სჯა—ნატალია შიოევის ანდერძის თაობაზედ—მაგრამ, რადგან საკმაო ხმოსანთა რიცხვი (36) არ დაესწრო, ამის გამო რჩევამ გადადვა ამ საგნის განხილვა.

* * *

სომხურს გაზეთს „მშაკში“ იწერებიან სოხუმიდამ, რომ ამ მოკლე ხანში იქ მოსულან ცეცხლის გემით სინოპიდამ (მცირე აზიაში) გადმოსახლებული სომხები. ამათ, მართალია, ხმელეთზე გამოსვლის უფლება მიეცათ, მაგრამ ყველანი გარეთ ჰყრიან და კარგი იქნებაო, რომ ჩვენებურ სომხებმა რამე შემწეობა აღმოუჩინონო.

* * *

ამას წინათ რომ ტფილისის დოლის პატრონმა ბ. ნაუმენკომ მარულა გამართა, იმის თაობაზე გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია ამ დოლის გამგებლებისა და მსაჯულების წერილი, რომელშიაც ესენი აცხადებენ, რომ, როცა გამოცხადებით დანიშნული ჯილდო მოვთხოვეთ ბ. ნაუმენკოს იმ ცხენების პატრონებისათვის, რომელთაც ეს ჯილდო ერგებოდათ, ბ. ნაუმენკომ უარი გვითხრა და ფული არ მოგვცაო.

ეს კარგი ჭკვის-სასწავლებელი მაგალითია იმ პირებისათვის, რომელნიც ყოველ გაიძვერას სიტყვას და გამოცხადებას უჯერებენ და ენდობიან ხოლმე.

„დროების“ კორრესპონდენცია

—

ბათუმი, 12 მაისს. რომ ჩვენი ბათუმის ადმინისტრაციისათვის არავის არ შეეწამა თუ ის სარწმუნოების შესახებ არაფერს აკეთებს, ამისათვის შემდეგი შესანიშნავი საქმე მოახდინა. თათრების დროსვე ერთი სომხის კათოლიკის ქმრიანი ქალი არდანუჯიდან გაჰყოლია ერთ ბათუმის მაზრის მცხოვრებელს მაჰმადიანს და მაჰმადის სარწმუნოების წესით ქორწინება მოუხდენიათ; ესენი აქამდი ერთათ სცხოვრებდნენ და ერთი შვილიც ჰყოლია და მეორეზეც ქალი ორსულათ არის.

რუსებმა რო აილეს ეს ჩვენი ახალი შემოერთებული მხარე, ქრისტიან სახელმწიფოს ბატონობით გათამამებულ ქალის მამას მიუცია თხოვნა, რომ იმის შვილი წაართვან მაჰმადიანებს, რადგანაც ქრისტიანი რჯულის მქონე ხიფათშია მაჰმადიანების ხელში, რადგანაც ის დაჰკარგავსო საიქიოს აბრაამის წიაღს.

ამ თხოვნის შემდეგ, ერთ მშვენიერ ღამეს დაესხნენ სოფელში ამ ქალის ქმარს მაჰმადიანები ესროლეს თოფი და მოჰკლეს. ქალი კი ჩამოიყვანეს თავისი შვილით ბათუმში და მიაბარეს სომხის კათოლიკების მღვდლებს, რომ რჯულზე მოეყვანათ ქალი... ამბობენ, ამ სულიერ მამებმა რომ შენიშნეს, ქალს ტანზე ჰკერებია თათრული ნუსხები, იმის წასართმევათ ტანთ გაუხდიათ და უთქმევინებიათ, რომ მე კიდევ ქრისტიანი ვარო, და უწვალებიათ.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ფანატიკოსი და ფიცხი მაჰმადიანები, ამ ნაირი საქმე ველარ მოინელეს, საშინლათ აღელვდნენ და აპირებდნენ უწესოების მოხდენას, მაგრამ ბეგებმა დაამშვიდობეს. მთავრობამ შენიშნა ხალხს მღელვარება და ქალი გაგზავნეს ქუთაისში. დღეს-დღეობით ამაზე უწესოება არაფერი მომხდარა და ეჭვი არ უნდა, რომ თუ ხალხი არ დააშოშმანეს, ქალს თუ ვერ წაართმევენ, მაინც თავის კაცის სიკვდილს არ შეარჩენენ.

ამ ბატონებს რომ ვინმემ ჰკითხოს, თუ რა საჭირო იყო ყაჩაღებივით თავ-დასხმა, როდესაც იცოდნენ იმისი საცხოვრებელი ადგილი, ან რა აუცილებელი საჭირო იყო დღემდი სიჩუმის შემდგომ, ხალხის გადასახლებისათვის მიზეზებზე მიზეზი დაერთოთ,—ნეტა რას უპასუხებენ? მაგრამ არც ღირს ამისთანა პატარა(?) უწესოებაზე ლაპარაკი. დაუბრუნდეთ უფრო საყურადღებო და სასიამოვნო საგანს.

სკოლა, რომ არ მოველოდით, იმაზე უკეთესათ მიდის; დღეს იქ 12 მაჰმადიანი და 16 ქართველი ყმაწვილი სწავლობს. მათი მასწავლებელის ბატ. ნანეიშვილის პატიოსნურმა შრომამ ისე გამოიწვია ყმაწვილების სიყვარული, რომ სკოლაში, რომ ადგილი იყოს, ბევრი სხვა მაჰმადიანის ყმაწვილებიც შევიდოდნენ; მაგრამ, საუბედუროთ, შენობის სიპატარავე ამის ნებას არ აძლევს; თითქმის მაჰმადიანის რამოდენმა ყმაწვილმა ახლავე იცის ქართული კითხვა და სიხარულით სწავლობენ.

სასურველია, რომ ჩვენმა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ თავის დაპირება მალე შეგვისრულოს და სკოლისათვის შენობის აშენება აღარ დაგვიგვიანოს.

ბატ. მიხაილოვმა, რომელმაც ამ ორი წლის ადრე გახსნა სასწავლებელი, წრეულს უკვე დახურა, რადგანაც ყმაწვილები, რომლებსაც 5 მანეთის თვეში გადახდა შესძლებოდათ, ცოტა აღმოჩნდა და ხარჯი მეტი ჰქონდა.

კრაზანა.

წერილი რედაქტორთან.

—

ბ. რედაქტორო! ჭეშმარიტების აღსადგენელად გთხოვ ეს წერილი დამიბეჭდოთ „დროებაში“.

ამ გაზეთის 95 ნომერში დაბეჭდილი იყო ერთი ჩემი შესახები ამბავი, ვითომც მე ორი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შეგირდები დამხვედროდენ სასწავლებლის კიბეზე და ისე ეცემოსთ ჩემთვის წალის ქუსლებითა, რომ მე ლოგინად ვიყო ჩავარდნილი და სისხლს ვანთხევდე; ვითომც ის შეგირდები სადღაც გარდახვეწილან და მათ მამები თავ-ქუდმოგლეჯილი დაეძებენ.

ამ ამბავში მართალი მხოლოდ ის არის, რომ ორი ადრევე *) გაფუჭებული შეგირდი ქელბაქიანი და გოცირიძე დამხვდნენ ორ მაისს სასწავლებლის ეზოში ბოროტ-განძრახვით.

*) მე სასწავლებელში მასწავლებელთაც არ ვყოფილვარ მაშინ, როდესაც (1879 წ.) ქელბაქიანმა დაჩხა თავის მეზობლები იაშვილება.

დანარჩენი ამბავი სულ სიცრუეა და კორრესპონდენტისაგან ან ქალაქის ქუჩებში მოგროვილი, ან [illegible] მისგანვე მოგონილი, რომ უფრო საოცარი ფეროვნება მისცეს თავისს წარმოგზავნილ ამბავს. თორემ თუ კორრესპონდენტი ჭეშმარიტების მოყვარე იყოს, ან სასწავლებლისათვის მართლა გული შესტკიოდეს, ადვილად შეიტყობდა,—თუ მოინდომებდა,—რომ ჩემთვის არც არავის ცვირპირი ჩაუმტვრევია, არც ლოგინად ჩავვარდნილვარ და არც ერთ წამს შეწყვეტილა ინსპექციის მოქმედება. ამას იგი შეიტყობდა, თუ მოინდომებდა ჩემთან მსახურთაგან, ან იმ პირთაგან, რომელნიც ჩვენ სასწავლებელზედ მახლობლად სცხოვრებენ, ან სხვის ვისმესგან, რომელთაც სასწავლებელთან რაიმე კავშირი აქვსთ. შეეძლო, შეეტყო ისიც, რომ ის შაგირდები სრულიად არ სად გადაკარგულან და თავიანთ მამებმა წაიყვანეს.

წარმოვიდგინოთ, ვითომც მართლად ისე ყოფილიყოს, როგორც კორრესპონდენტი სწერს; ამისგან ის სრულიადაც არ გამოიყვანება, რომ მე ღირსი ვიყო ამისა. შარესებიც ემართებათ ჩვენ დროს ზოგიერთ პირებს, რომელთაც კი არ დაუმსახურებიათ. იქნება ის ითქვას, რომ შაგირდებზედ ისეთი გავლენა უნდა ჰქონდესთ ხელ-მძღვანელებსთ, ცუდი არა ჩაიდინონ რამეო. მაგრამ მე თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ თუ ყმაწვილი ერთხელვე გაფუჭებულია ხასიათით, თუ ერთხელვე გული აგდებული აქვს სწავლაზედ, იმისთვის ყოველ ნაირი დარიგება და ყურის გდება უქმი დარჩება (?!) როდესაც ყმაწვილს სასწავლებელი მოსძულდება და დედ-მამას შეეხვეწება სკოლიდგან გაყვანას, იმას თუ თავის სურვილი არ აუსრულდა, მაშინ ძალით შეიმთხვევს იმისთანა საქმეს, რომ სკოლას მოშორებული შეიქნება. სწორეთ ამ ნაირი გახდენ ქელბაქიანი და გოცირიძე.

მე თამამათ ვიტყვი, რომ იმათგან მოხდენილის ცუდი საქმის მიზეზი არც სასწავლებლის წესებშია და არც ჩემში. ჩვენ სასწავლებელში არის შვიდას-ოცდა-ათი მოსწავლე. არაკათ არის ნათქვამი: „სახლობა უმახინჯოთ არ იქნებაო“. რათ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამდონ კაცში და ორი ერთი ზნეობითად მახინჯი გამოერიოს. რაც უნდა მშვენიერი წესები სუფევდენ, რომელიმე სასწავლებელში, შეუძლებელია, რომ იმათ ყველა შაგირდებზედ იქონიონ ერთ ნაირი ზედ-გავლენა; მერე ერთი გაფუჭებული ყმაწვილი ბევრს სხვას გააფუჭებს.

სასწავლებლის გამგეობა ვალდებულია, რომ ეცადოს ყმაწვილების გასწორებას და მათ კეთილ გზაზედ დაყენებას. მეც ვცდილობდი და ვცდილობ, რომ ყმაწვილებს უქმათ არ ჩაეტარებიათ თავის მეპატრონეების შრომა: არ ვაძლევდი მათ ნებას, რომ

სწავლის დროს შინ მჯდარიყვნენ და ან ბაზარში ეხეტიალებიათ. ბევრ მათგანს ეაძლეოდა შენიშვნას და დარიგებას. არა ერთ გზის ამ ნაირათ ჩემგან მიცემული დარიგება და მოთხოვნილება, რომ ყმაწვილებს კლასში ეელოსთ ბეჯითად, აიღეს მიზეზათ თავის ბოროტ-განზრახვისათვის ორმა ადრევე გაფუჭებულ შაგირდმა, რომლებიც ისე შებრალებია ქუთაისელ კორრესპონდენტს, რომ მათ გულისთვის ნამდვილი ფაქტები დაუმახინჯეია. უთუოდ ეს ცუდის საქმის ჩამდენი შაგირდები მიტომ ებრალება კორრესპონდენტს, რომ მათი გაფუჭების მიზეზს ხედავს სასწავლებლის წესებში და ხელმძღვანელებში და სურს, რომ მიაქციოს უმაღლესი მთავრობის ყურადღება სასწავლებლის ნაკლულევანებაზედ. მაგრამ სასწავლებელს თუ რამე ნაკლულევანობა აქვს, კორრესპონდენტმა ეს ფაქტებზედ უნდა დაამყაროს და ისე გამოაშკარაოს; თორემ ასე ბოროტ-მხიარულად ფაქტის დამახინჯება, მართალი მოგახსენოთ არაფერი საკადრისია.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის
ზედამხედველის თანაშემწე

ი. გაფრინდაშვილი.

ქუთაისი, 16 მაისი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან: მურაბა, კაკაო, ბრინჯი, ჭურჭლეულობა, ბაკლები, ტაშტები, ჰირის დასაბანები, ჩაინიკები, სტაქნები, ჰადნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კარანდაშები, რეულები, თოფები, რევოლვერები, ალბომები, კრაოტები, ტანსაცმელი, ტრიკო, ჰარუსინა, ცხვირ-სახოცები, ჰირსახოცები, კლეონკა, კაცის და ქალის წინდები, უნაგრები, ბორტეინი, სერესი, კონიაკი და სხვ. ჩაი ჰარტიებით კაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52, 54 და სხვ..

იქვე იაფად: შერბეთი, მაგნეზია და წყურვილისაგან ლეპიოშკები, ტიეებისაგან ქინაქინას ღვინო, კარბოლის ჰარაშოკი, საპონი და წამლები ეპიდემიისაგან დაცვისა, მედიკური ქაღალდი ფეხის-ალაგებისათვის, სპარსეთის ჰარაშოკი და სხვ.

(15—1)

ᲛᲝᲚᲐᲮᲣᲠᲐᲕᲘ 4 მანეთად, ნასოხები 1 მან., დასაკეცი სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწუებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინგლისური ვანნები და სხვ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

10,000 რწყვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწუებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწყვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 ჰადნოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 ჰრშინი ბომაზეი 1 მ.—1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 ჰრშ. ჰარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ, 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნასვეარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები უკეთა კვარ ხელისათვის. (15—1)

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ

ᲒᲐᲜᲙᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲒᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ამით აცხადებს, რომ მეთორმეტე (XII) ტირაჟში, რომელიც მოხდა 9 მაისს 1881 წელსა, გამოვიდნენ შემდეგი ნომრები ამ ბანკის გირავოს ფურცლებისა:

I სერიისა.

18 წ. 7 თვე.

ასი (100) მანეთიანი №№ ოთხმოცდა-მეათე 90, სამოცდა-პირველი 61, მეცამეტე 13, სამოცდა-მესამე 63 და მეექვსე 6.

II სერიისა

27½ წ.

ათას (1000) მანეთიანი № ას ორმოცდა-მეოთხე 144.

27½ წ.

ხუთას (500) მანეთიანი № ოცდა-მეცხრე 29.

27½ წ.

ას (100) მან. №№ ას მესამე 103 და ას მეექვსე 106.

54½ წ.

ამ (100) მან. №№ მეორმოცე 40 და სამოცდა-მეოთხე 64.

III სერიისა.

27½ წ.

ათას (100 მ. № ორმოცდა მეშვიდე 47

27½ წ.

ხუთას (500) მანეთ. № ას ორმოცდა მეთოთხმეტე 154.

54½ წ.

ას (100) მ. № სამოცდა მეჩვიდმეტე 77.

IV სერიისა.

27½ წ.

ხუთას (500) მანეთიანი № ორმოცდა-მეცამეტე 53.

54½ წ.

ას (100) მანეთიანი № მეორე 2.

54½ წ.

ხუთას (500) მ. № სამოცდა-მეორე 62.

V სერიისა.

27½ წ.

ხუთას (500) მან. № ოცდა მესამე 23

43½ წ.

ას (100) მან. № ორმოცდა-მესამე 43.

VI სერიისა.

27½ წ.

ხუთას (500) მ. № ოცდა-პირველი 21.

27½ წ.

ას (100) მანეთ. № მეთვრამეტე 18.

VII სერიისა.

43½ წ.

ას (100) მ. № ორმოცდა-მერვე 48.

VIII სერიისა.

27½ წ.

ხუთას (500) მანეთ. № მეოთხე 4.

ას (100) მან. № ას პირველი 101.

43½ წ.

ხუთას (500) მ. № სამოცდა-მერვე 68.

IX სერიისა.

27½ წ.

ას (100) მანეთიანი №№ მეთოთხმეტე 14 და ორმოცდა-მერვე 48.

43½ წ.

ას (100) მან. №№ ას მეხუთე 105, ორას მეოცე 220 და მესამე 3.

X სერიისა

27½ წ.

ათას (1000) მან. № ორმოცდა-მეშვიდე 47.

XI სერიისა

27½ წ.

ხუთას (500) მანეთ. № ოცდა-მეექვსე 26.

27½ წ.

ას (100) მან. № ას ორმოცდა-მეჩვიდმეტე 157.

43½ წ.

ას (100) მანეთ. № ოთხმოცდა-მეთვრამეტე 98.

ბირავოს ფურცლები, რომელნიც გამოვიდნენ მეთორმეტე ტირაჟში მიიღებენ 1 ივლისის 1881 წ. სარგებელს.

ტირაჟში გამოსულის გირავოს ფურცლების ფულების მიღება შეიძლება: ქ. თფილისში ბანკის კასსაში და ქ.ქ. პეტერბურღში და ვარშავაში ბატ. ვაველბერგის საბანკო კანტორებში. (1—1)

თბილისის საადგილ-მამულო ბანკის ზალაში, ორშაბათს, 1 ივნისს. დილის თერთმეტ საათზე, იქნება ᲦᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ.

საგანი კრებისა არის:

ა) წასრული წლის ანგარიშის მოსმენა.

ბ) საზოგადოების წევრთა არჩევა.

გ) მომავალ წლის გასავლის სიის დამტკიცება. (4—3)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲗᲝᲛᲘᲡ ᲙᲐᲛᲘᲡ-ᲛᲔᲥᲕᲜᲘ

ᲛᲐᲙᲐᲠᲝᲜᲘᲡ-ᲛᲐᲡᲘᲡ ᲤᲔᲠᲘ

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ჰომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—109)

ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲮ.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

გადავიდა თ. მუხრანსკის სახლებში, ატამანის ქუჩაზე, საქართველოს გოსტინიცის ჰირდა-ჰირ № 15. 5—5

ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘ

თხზულება

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲡ-ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

(ძველი მწერლობა)

სრული გამოცემა თვით ავტორის ხელთ-ნაწერიდგან, გამოცემული გ. ზალეკანოვისაგან პ. უმიკაშვილის რედაქტორობით.

ᲤᲐᲡᲘ ერთი მანეთი.

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ: თფილისში ბ. ჩარკვიანის და ბრიქურეოვის წიგნის მაღაზიაში ხიდზე და ბულვარზე „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ თამბაქოს მაღაზიაში. ხელაძის სტამბაში და ქუთაისს ბერარდის წიგნის მაღაზიაში.

ᲕᲘᲜᲪ ᲐᲡᲡ წიგნს დაიბარებს თვით გამომცემლისგან, ნაღდს ფულზე დაეთმობათ 20%. ᲕᲘᲜᲪ ᲝᲠᲛᲝᲪ-ᲓᲐᲐᲗᲡ—15%. ᲐᲓᲠᲔᲡᲘ—სტამბა ხელაძისა. (5—5)

ᲤᲤᲘᲚᲘᲡᲡ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ წიგნის მაღაზიაში და ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ ᲑᲔᲠᲐᲠᲓᲘᲡ წიგნის მაღაზიაში ისყიდება

ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ

ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲘ

შედგენილი და გამოცემული ილია ᲩᲮᲝᲜᲘᲐᲡᲐᲒᲐᲜ. შინაარსი: I ბაბუას თხზვნა (ლექსი) მ. ᲤᲐᲖᲔᲚᲘᲡᲐ, II უბედური შემთხვევა (ამბავი) Ჯ—სა, III ᲩᲔᲛᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ (ორი ლექსი) მ. ᲤᲐᲖᲔᲚᲘᲡᲐ, IV მ...სადმი (ლექსი) Ბ—სა, V ᲤᲔᲠᲘᲐ ᲤᲔᲠᲡ—მადლი დმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ, VI ᲩᲐᲒᲝᲚᲘ ᲡᲒᲔᲓᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ (ლექსი) რაფიელ ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐ, VII ᲮᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲒᲚᲔᲜᲐ სამეულ სმაილსისა, VIII ᲣᲙᲘᲗᲮᲕᲘ ᲭᲡᲣᲮᲘ (ლექსი) ნ. Დ—სა, IX ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲒᲚᲘᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ და X ᲛᲢᲐᲠᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ (ლექსი) ᲐᲙᲐᲙᲘᲡᲐ.

ᲤᲐᲡᲘ თითო წიგნისა ათი შაური.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ივანე ნიკოლაძის და შვილთა მოდის მაღაზიაში მიღებულია სამზღვარ გარეთიდამ მრავალ გვარი საქონელი. თუმც ბაჟმა მოიმატა მაგრამ ყველაფერი წინანდელ ფასებით იყიდება. მაღაზიაში არის და კიდევ მოელიან დიდ-ძალ შუშეულს და ჭურჭლეულს. ᲤᲐᲡᲔᲑᲘ 25% ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲘᲕᲘᲠᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ.

(10—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Мая 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი.